საქართველოს საბაჟო საზღვარზე ჩადენილ დანაშაულთა სპეციფიკა, საბაჟო კონტროლი და გამოძიება

არჩილი ნარინდოშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: იოსებ ვარძელაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2023

განაცხადი

,,როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად''.

არჩილი ნარინდოშვილი

14.06.2023

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომის მთავარი განსახილველი თემა გახლავთ, ჩვენი ქვეყნის საბაჟო/ეკონომიკურ საზღვრებზე ჩადენილი დანაშაულები. დანაშაულები, რომლებიც აქტუალურია და ასევე, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფოს გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე. მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს ის ხარვეზები და წინაღობები, რომლებიც დღეს არსებობს კანონმდებლობასა თუ პრაქტიკული საქმიანობის ფარგლებში დანაშაულის ნეიტრალიზაციის პროცესში, ანუ გამოძიების ეტაპზე. აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის მიზანი სწორედ ისაა, რომ წარმოჩინდეს შესაბამისი საკანონმდებლო ხარვეზები სრულფასოვნად და გამოჩნდეს მისი გადაჭრის გზები. ასევე, ყურადღება გამახვილებული იქნება საკნანონმდებლო ცვლილებეზე, რომლებიც გამოიწვევს გამოძიებისათვის მტკიცების ტვირთის გაადვილებას, დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირის მიმართ, რომელმაც შესაძლოა დღევანდელი საკანონმდებლო მოცმეულობიდან გამომდინარე თავი აარიდოს შესაბამის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

სამაგისტრო ნაშრომში, არსებული საკითხები მკაფიოდ აჩვენებს, თანამედროვე საკანონმდებლო რეგულაციებს ჩვენს ქვეყანაში, რომელთა დაცვა, მისი კონტროლი და აქტიური მოქმედება პირდაპირ არის დაკავშირებული საქართველოს საგარეო ვაჭრობის პოლიტიკასთან. განვითარებადი ეკონომიკის მქონე ისეთი, ქვეყნისათვის, რომელსაც საქართველო განეკუთვნება, გამართული საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის წარმოება, საწინდარი უნდა გახდეს პარტნიორ ქვეყნებთან ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების კიდე უფრო გაღრმავებისა.

საკვლევ საკითხზე მუშაობისას დადგინდა, კონტრაფაქციული საქონლის საქართველოს საზღვარზე შემოდინებისას გამოვლენილი ხრვეზების შესახებ, რომელიც დამნაშავისათვის ბრალის დადგენის ნაწილში აისახება. ნაშრომში, ასევე განხილულია ის გზა, რომლითაც თავიდან იქნება არიდებული შესაბამისი სამართალდარღვევის განზრახვის შერაცხვის დაუდასტურებლობა. ასევე, ნაშრომში განმარტებულია, თუ

რაოდენ მნიშვნელოვანია ქვეყნის ინტერესებისათვის კონტრაბანდული საქონლის გამოვლენის საკითხებზე აქტიური მუშაობა, როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე კერძო ბიზნესისა და ქართული საზოგადოებისათვის.

საკვანძო სიტყვები: საბაჟო საზღვარი, ეკონომიკური საზღვარი, კონტრაბანდა, კონტრაფაქცია, საქონლის დეკლარირება. გაფორმების ეკონომიკური ზონა.

Abstract

The main topic to be discussed in this paper is the crimes committed at the customs/economic borders of our country. Crimes that are relevant and present significant problem for the state because of the state's geographical location. It is important to highlight the gaps and obstacles that exist in the current legislation or in practice at the investigation stage. The purpose of the mentioned master's thesis is to show the relevant legal gaps in full and show the ways to solve them, it will also be focused on the penal changes which will lead to find the offender who really committed the crime, however, may avoid the relevant criminal esponsibility based on current legislation, by the easing of the burden of proof for the investigation bodies.

The issues in the master's thesis clearly show the current legal regulations in our country, the protection of which, its control and its operation are closely related to the foreign trade policy of Georgia, which in turn is a prerequisite for further deepening of economic and trade relations with various partner countries.

During the research, it was determined about the defects revealed during the importation of counterfeit goods to the border of Georgia, which is reflected in the part of determining the guilt of the offender, the paper also reflected the way in which the non-confirmation of the intention to commit the relevant offense will be avoided. Also, as a result of the discussion in the paper, it was explained how important it is to work on smuggling for the interests of the country, and not only for the country, but also for private business and society.

Key words: customs border, economic border, smuggling, counterfeiting, declaration of goods. Economic zone of clearance.